ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №62

ქ. ბათუმი 20/05/2013 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრი" (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება, ს/კ 245645235 - შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით

და მეორეს მხრივ, შპს „World Print" (იურიდიული მისამართი: საქართველო, , ქ. ბათუმი, ა. ოსტროვსკის შეს., №3, ს/კ 445423943, შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ბენიამენ ჯაველიძის სახით

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალების/წიგნების და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების (CPV -22800000) და კატრიჟების (CPV – 30100000) მიწოდება (შემდეგში - შესყიდვის ობიექტი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. მიწოდებული საქონლის რაოდენობა და ფასები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილით (ფორმა #3).

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება,
ანგარიშსწორების წესი

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს, აქედან 900 (ცხრაასი) ლარი განკუთვნილია CPV -22800000 კოდით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვისათვის, ხოლო 100 (ასი) ლარი CPV – 30100000 კოდით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვისათვის. აღნიშნული თანხა ითვალისწინებს როგორც შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება დაიფარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების/საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: ა/ა GE58PC0033600100049096 GEL, ს.ს. პროკრედიტ ბანკი - MIBGGE22.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3.4. თუ მიმწოდებელი 3.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და შესყიდვის ობიექტის სრულყოფილად მიწოდებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად.

3.5. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

4.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

4.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. დაუძლეველი ძალა

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

5.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3.4. თუ მიმწოდებელი 3.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და შესყიდვის ობიექტის სრულყოფილად მიწოდებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად.

3.5. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

4.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

4.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. დაუძლეველი ძალა

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

5.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, სამარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

5.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

6.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ვალდებულების შესრულებისათვის.

7.3. ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

7.4. მიმწოდებელს, მის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5. შემსყიდველს, მის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ - „ტესტირების, სერტიფიკაციის ცენტრი"
ს/კ 245645235
ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com
მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება

სს ბანკი „რესპუბლიკა"
ბანკის კოდი - REPLGE22
ა/ა GE20BR0500003408000898

ცენტრის უფროსი:
რამაზ სურმანიძე

მიმწოდებელი:

შპს „World Print"
ს/კ 445423943

მის: ქ. ბათუმი, ა. ოსტროვსკის შეს., №3

ს.ს. პროკრედიტ
ბანკი - MIBGGE22
ა/ა GE58PC0033600100049096 GEL

დირექტორი:
ბენიამენ ჯაველიძე